ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1216350

ნომერი: AR1210191

თარიღი : 06.04.2014

გაცემის თარიღი : 11.04.2014

გაცნობის თარიღი : 14.04.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ჩიხი ყაზბეგის , N 32/34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ ყარასაშვილი პ/ნ 01032004026
- ქ.თბილისი, ორხევის დასახ. სააკაძის ქ. 15ა

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა კორექტირება
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა კორექტირება
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა კორექტირება
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობების მშენებლობის შესაძლებლობის დადასტურებაში (გადაწყვეტილება №1117018) პავილიონების კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე ცვლილების შეტანისცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ყაზბეგის ჩიხი #32/34–ში, სს „საქსაშენმეცნიერება“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე, დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობების მშენებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის
ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (სს „საქსაშენმეცნიერება“–ს საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი N 01.14.03.042.198. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან– რეგ. N 892012151173 20/12/2012წ; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათი; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – ვაკე, ყაზბეგის ჩიხი #32/34–ში, სს „საქსაშენმეცნიერება“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, კორექტირებული ფოტომონტაჟის საფუძველზე, დროებითი (საძირკველის არ მქონე), შენობა-ნაგებობების მშენებლობის შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ: შენობა-ნაგებობის მშენებლობისას ვალდებული ხართ დაიცვათ კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები:
• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 3 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს არ შეიძლება კარის და ფანჯრის მოწყობა. შესაძლებელია მოეწყოს მინაბლოკი.
• სამშენებლო მიწის ნაკვეთის საზღვარზე, მეზობლის მიწის ნაკვეთის მხარეს შენობის სახურავის მოწყობისას დამკვეთმა/მესაკუთრემ უნდა უზრუნველყოს ისეთი საინჟინრო ღონისძიებების განხორციელება, რაც ააცილებს ატმოსფერული ნალექების მოხვედრას მეზობლის მიწის ნაკვეთში.
• საკადასტრო საზღვრიდან მინიმალური დაშორება 5 მეტრზე ნაკლების დროს სამეზობლო მხარეს ხის მასალა უნდა იქნას დამუშავებული ცეცხლმედეგი ხსნარით.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge